სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

20/01/2025

MES 2 25 0000035723

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 57-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი (დანართი).

2. ბრძანება გამოცხადდეს საჯაროდ და გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების დეპარტამენტმა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

რექტორი
გურგენიძე დავით